შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები

შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები

მუხლი 1. საფუძვლები და რეგულირების სფერო

1. შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებითა და წინამდებარე წესით;
2. წინამდებარე წესი შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“-ს (შემდგომში - კოლეჯი, დაწესებულება) კომპეტენციის ფარგლებში, განსაზღვრავს კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესსა და პროცედურას, აგრეთვე კოლეჯის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე და არაფორმალური განათლების ფარგლებში განსახორციელებელ სასწავლო კურსებსა და პროგრამებზე პირთა ჩარიცხვის პროცედურას.
3. ამ წესის მიზანია პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის რეგულირება, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით.
4. პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მიზანია დეცენტრალიზებული, სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური და გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. დაინტერესებული პირის მიერ, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი დაინტერესებულ პირებს, მთელი წლის განმავლობაში, უწევს კონსულტირებას და:
   ა) აცნობს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს;
   ბ) აწვდის ინფორმაციას კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ (კონკრეტულ პროგრამაზე დაშვებისა და შერჩევის წინაპირობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები (არსებობის შემთხვევაში), დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა);
   გ) აწვდის ინფორმაციას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარება რეგისტრაციაში.

მუხლი3. პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
გ) შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომ – მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 4. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება და აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, კოლეჯში რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, ავსებს ელექტრონულ კითხვარს (ანკეტა-კითხვარს) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
2. ანკეტა-კითხვარში მიეთითება ინფორმაცია კოლეჯისა და იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელზეც ცხადდება მიღება, ასევე - თითოეულ პროგრამაზე მისაღები ადგილების (მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირთა მიღებისთვის განსაზღვრული ადგილებისა) და სხვა პირობების თაობაზე.
3. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

   ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

   ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;

   გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.
4. რეიტინგული სიების დაწესებულებისთვის ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.
5. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისაღები ადგილების რაოდენების გაზრდის მიზნით, დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი კი, განათავსებს შესაბამის ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, იმავე დღეს.
6. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში და მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი პირობებით.
7. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.
8. პირს, რომელსაც ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე გააკეთოს შესაბამისი არჩევანი (სისტემის მიერ დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე შეთავაზებული პროგრამების ფარგლებში).

9. სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა, გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის საფუძველი;
10. აპლიკანტთა რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობის, არაქართულენოვანი აპლიკანტების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების, აგრეთვე, იმ აპლიკანტების შესახებ, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42 ბრძანების 20-ე მუხლის შესაბამისად, უფლება აქვთ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გარეშე ჩაირიცხონ.

მუხლი 5. შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. კოლეჯის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება და აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - "შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის" (შემდგომში "ცენტრი") მიერ ორგანიზებული ტესტირებისა და კოლეჯის მიერ ორგანიზებული შიდა შერჩევის საფუძველზე. კოლეჯის შიდა შერჩევის წესი და პირობები რეგულირდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.
2. დაწესებულება უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების გარდა, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შეფასების დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს:

   ა) შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;

   ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირებას;

   გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;

   დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;

   ე) აპელაციის წესსა და ვადებს;

   ვ) აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;

   ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, დაწესებულების მიერ ორგანიზებულ შეფასებაზე თითოეულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ასევე შერჩევის დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს: შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას; შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს; შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს; შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს; აპელაციის წესსა და ვადებს და აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
5. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი.
4. დაწესებულების შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და დაწესებულება განსაზღვრავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ინდივიდუალურად თითოეული

პროგრამისთვის ანკეტა - კითხვარის შევსების დროს;

5. იმ შემთხვევში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, დაწესებულება არ დაუშვებს აპლიკანტს შეფასებაზე და თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს დაწესებულების მიერ დადგენილ პროგრამაზე დაშვების მინიმალურ ზღვარს, იგი დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.
6. მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების შედეგების განთავსებას ერთიან სკალაზე, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მეთოდით. თითოეული შეფასების შედეგის ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.
7. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სოციალური სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.
8. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
9. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

მუხლი 6. ტესტირება

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, აუცილებელია ტესტირების გავლა აკადემიური უნარებში.
2. ჩასაბარებელი ტესტების საგამოცდო პროგრამას, ცენტრის წარდგინებით და ჩასაბარებელი ტესტების შესაბამისობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, ამტკიცებს მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროს შესაბამისად, აკადემიური უნარების ტესტირება შეიძლება დაწესდეს:
   ა) წიგნიერებაში;
   ბ) რაოდენობრივ წიგნიერებაში;
   გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმიის კომპონენტი და/ან ფიზიკის კომპონენტი და/ან ბიოლოგიის კომპონენტი).
4. თუ სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროსთვის განისაზღვრა ტესტის რამდენიმე ტიპი, აპლიკანტი აბარებს ამ ტესტის ყველა ტიპს.
5. ტესტირების პროცესი (მათ შორის, ტესტირების მიმდინარეობასთან და ტესტირების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვასთან დაკავშირებული საკითხები) რეგულირდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად.
6. აპლიკანტმა ტესტირებაზე გასვლის მიზნით უნდა გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციისას აპლიკანტი წარადგენს: პირადობის (ბინადრობის) მოწმობას/პასპორტს, ხოლო ასეთის არქონის შემთხვევაში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ სათანადო წესით დამოწმებულ განაცხადს/განცხადება-ანკეტას, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი. ასევე, აპლიკანტი წარადგენს სარეგისტრაციო სისტემიდან საგამოცდო ბარათს.
7. რეიტინგული სიის შედგენის მიზნით:

ა) ცენტრი, ტესტირებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში, მართვის სისტემას ელექტრონული ფორმით აწვდის აპლიკანტთა ტესტირების შედეგებს;
ბ) დაწესებულება, "შერჩევის პერიოდის, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღის დამტკიცების შესახებ" მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით განსაზღვრულ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვა

1. კოლეჯი, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე, რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან, აპლიკანტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიწოდების პროცესში წარმოშობილ სასწავლო და ადმინისტრაციული ხასიათის ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით.
2. დაწესებულება უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.
3. აპლიკანტი, მართვის საინფორმაციო სისტემაში - რეიტინგში მისი ადგილის შესახებ - ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემდეგ, დაწესებულებაში წარმოადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.
4. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი, დაწესებულების ან აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში.
5. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
6. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა აჭარბებს ამ პროგრამაზე დაწესებულების მიერ გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, დაწესებულებას შესაბამის პროგრამაზე ემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.
7. თუ ჩარიცხულ თანაბარქულიან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს პროგრამისთვის შესაბამის მიღებაზე განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება ამავე პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის განსაზღვრულ ადგილებს.
   პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის სტატუსის მინიჭებას, აგრეთვე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდზე, განათავსებს კოლეჯშის შენობაში ღიად, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას ან/და აცნობებს მოკლე ტექსტური შეტყობინებით მის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებულ ნომერზე;
8. კოლეჯი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე

ჩარიცხულ პირთათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაციის ასახვა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მითითებით, "შერჩევის პერიოდის, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღის დამტკიცების შესახებ" მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.

მუხლი 8. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:
   ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
   ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
   გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
   დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის/დამატებითი დაცვის მქონე პირებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირები, რეგისტრაციის დროს, ვალდებულნი არიან სისტემაში ატვირთონ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.
4. დაწესებულება ვალდებულია აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაცია ასახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ინგლისურენოვანი პროგრამაზე ჩარიცხვა

1. ინგლისურენოვან პროგრამაზე მიღების გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა და პირთა ჩარიცხვა დაწესებულებაში ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესით, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დადგენილი ჩარიცხვის პროცედურისგან განსხვავებულ ვადებსა და ეტაპებს.
2. ინგლისურენოვან პროგრამაზე მიღება ცხადდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც განისაზღვრება:
   ა) პროგრამის დასახელება, ჩარიცხვის ეტაპები და ვადები;
   ბ) პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;

გ) პროგრამის განხორციელების ენის ფლობის დონე და შესაბამის დონეზე ენის ფლობის დადასტურების წესი და პირობები;

დ) დაწესებულების მიერ, კონკრეტული მიღებისთვის ან პროგრამის სპეციფიკის განთვალისწინებით დამატებითი პირობები.

3. კოლეჯის დირექტორის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპებისა და ვადების შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, ასევე განთავსდება დაწესებულების ვებგვერდზე.
4. კოლეჯი პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
5. ინგლისურენივან პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობითა და კანონქვემდაბარე აქტებით, უმაღლესი პროფესიული განათლების საფეხურზე ჩარიცხვის უფლების მქონე საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, ინგლისური ენის კომპტენეციის (მინიმუმ B1 დონე) დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამ მუხლით დადგენილი წესით.
6. ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები აპლიკანტებისთვის გულისხმობს:

ა) აპლიკანტის მიერ სპეციალური სააპლიკაციო ფორმის შევსებასა და კოლეჯში წარმოდგენას (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, რომელიც არ იმყოფება საქართველოში, ოფიციალური ელექტრონული ფოსტით გამოგზავნას);

ბ) აპლიკაციის შესწავლის საფუძველზე, შერჩევის პროცედურის - გასაუბრების - გავლა (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, რომელიც არ იმყოფება საქართველოში, დაწესებულის მიერ ლიცენზირებული ონლაინ პლატფორმის გამოყენებით გასაუბრება, რომლის ჩანაწერიც ჩარიცხვის პროცედურების დასრულებამდე და ჩარიცხვაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინახება მის პირად საქმეში, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ნადგურდება, კანონმდებლობითა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის კოლეჯში მოქმედი რეგულაციებით);

გ) ენის კომპეტენციის დადასტურება არანაკლებ **B1** დონეზე - პირის მიერ ენის კომპეტენციის დადასტურება შესაძლებელია, თუ ზოგადი განათლება ან შემდგომი რომელიმე საფეხურის წინარე განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე ან უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის უფლების მოპოვებისთვის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვს უცხოე ენა - ინგლისური, არანაკლებ 40%-ით, ან აქვს ენის ცოდნის დონის დამდასტურებელი დოკუმენტი (მაგ: Certus, BritishCouncil, Cambridge, IELTS, TOEFL და ა.შ), ან ჩააბარებს კოლეჯის მიერ ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენის მიზნით ორგანიზებულ ტესტირებას;

დ) წინამდებარე პუნქტის "ა"-"გ" ქვეპუნტების დაკმაყოფილებისა და უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის - სრული ზოგადი ან/და მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აპლიკანტის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ, რაც დადგენილი წესით აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ე) უცხო ქვეყანაში მიღებული წინარე განათლების აღიარება - წინამდებარე პუნქტის "ა"-"გ" ქვეპუნტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ წარმოდგენილია უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მისი აღიარება ხორციელდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, სწავლის უფლების მოპოვების შესახებ გამოიცემა მინისტრის ბრძანება, რომლის შემდეგაც აპლიკანტი დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს, რაც დადგენილი წესით აისახება

მართვის საინფორმაციო სისტემაში;

7. აპლიკანტების მიერ შერჩევის პროცედურებში ერთნაირი შედეგის დაფიქსრების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ აპლიკანტებს, რომლებიც წინარე განათლების საფეხურზე გაცემული დოკუმენტით ადასტურებენ საბუნებისმეტყველო საგნების (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) მაღალ აკადემიურ მოსწრებას ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში გაივლიან კოლეჯის მიერ ორგანიზებულ დამატებით ტესტირებას.
8. სტუდენტს უფლება აქვს უარყოფითი შედეგები გაასაჩივროს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისიაში, წინამდებარე წესის მე-13 მუხლით დადგენილი წესით;

მუხლი 10. კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა.

1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები ჩაირიცხებიან კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ყველა პროგრამა, რომელზეც გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში.
3. პირს, რომელსაც ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო სისტემაში გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია.
4. კოლეჯი განიხილავს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტებისმიერ გაცემულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
5. რეგისტრირებულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა შერჩევა წარიმართება კოლეჯის დირექტორის მიერ დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის შესაბამისად, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე.
6. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.
7. პრაქტიკული მოსინჯვის ვადების, შეფასების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტების ან ასეთის ვალიდურობის დადგენისას კოლეჯი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42 ბრძანებით;
8. პრაქტიკული მოსინჯვის შედეგებს კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, მიწოდებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა.
9. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, დაწესებულებას უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

10. კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის შესახებ;
11. სწავლის დაწყების თარიღამდე, კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მონაცემებს ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი11. ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტები

1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტმა (საჭიროების შემთხვევაში, მისი წარმომადგენელი) უნდა წარმოადგინოს:
   ა) წერილობით განცხადება, კონკრეტულ პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნით;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან ცნობა განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევის შესახებ;
   დ) საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის/პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი მოწმობა.
2. აპლიკანტმა, რომელმაც უცხოეთში/საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიღო განათლება, დამატებით უნდა წარმოადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ.
3. გარდა აღნიშნული დოკუმენტებისა, წარმომადგენლის მეშვეობით დოკუმენტაციის წარმოდგენისას (ასევე, არასრულწლოვანი აპლიკანტის) წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს:
   ა) საკუთარი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   ბ) წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (აპლიკანტის დაბადების მოწმობა / ნოტარიულად დადასტურებული მინდობილობა).
4. შეზღუდული ქმედუნარიანობის/მხარდაჭერის მიმღები/ქმედუუნარო აპლიკანტის წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს:
   ა) საკუთარი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   ბ) აპლიკანტის შეზღუდული ქმედუნარიანობის/მხარდაჭერის მიმღებად ცნობის/ ქმედუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
   გ) წარმომადგენლობის/მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდამჭერისუფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი/აპლკანტის წარმომადგენელი, ვალდებულია წარმოადგინოს:
   ა) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში / სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, რომელიც დამოწმებული იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;
   ბ) ცნობა სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:
   გ) ცნობა აუდიოგრამას (სმენის დარღვევისას)დარღვევის შემთხვევაში;

დ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემულ ცნობა (მხედველობის დარღვევისას);

ე) შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობისას;

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია მიიღება კოლეჯის ადმინისტრაციის მისამართზე (ქ. თბილისი, ა. წერეთელის გამზირი N121)
7. ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ "შერჩევის პერიოდის, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღის დამტკიცების შესახებ" ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით განსაზღვრულ ვადაში .

მუხლი 12. ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლები

1. აპლიკანტს, შესაძლოა უარი ეთქვას კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვაზე, თუ მან სარეგისტრაციო სისტემაში მიუთითა მცდარი ინფორმაცია განათლების მიღწეული დონის შესახებ.
2. აპლიკანტი არ ჩაირიცხება კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, თუ ის დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს დოკუმენტაციას ან თუ საჭიროების შემთხვევაში, მის მიერ არჩეულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე რეიტინგულ სიაში მისი ადგილის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში არ აირჩევს ერთ საგანმანათლებლო პროგრამას.

მუხლი 13. შედეგების გასაჩივრება - აპელაციის წესი

1. რეიტინგული სიის გამოქვეყნებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში აპლიკანტი უფლებამოსილია კოლეჯის მიერ შერჩევისას მიღებული შედეგი გააპროტესტოს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სააპელაციო კომისიაში;
2. სააპელაციო კომისიის ფორმირება ხდება დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებლივი აქტით შეფასების კომისიებთან ერთად. მისი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი გამორიცხავს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ითვალისწინებს დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას.
3. სააპელაციო კომისია იქმნება იმ პირებისგან, ვინც არ მონაწილეობდა საჩივრის წარმომდგენი აპლიკანტის შეფასებაში და მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებლივი აქტით.
4. დირექტორი, განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, მოიწვევს სააპელაციო კომისიას, რომელიც უნდა შედგებოდეს ხუთი წევრისაგან და რომლის შემადგენლობაშიც უნდა მონაწილეობდეს იურისტი, ასევე - პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელები (არანაკლებ 3 წევრისა).
5. სააპელაციო კომისიას თავმჯდომარეობს კოლეჯის დირექტორი, კომისიაში არ შეიძლება შედიოდეს პირი, რომელიც მონაწილეობდა აპლიკანტის შეფასების პროცესში/შერჩევის კომისიის წევრი.
6. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს, ზეპირი მოსმენის საფუძველზე, განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა და აცნობებს განმცხადებელს (მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე/ელ. ფოსტაზე).
7. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გააუქმოს შერჩევის კომისიის შეფასება და

დანიშნოს აპლიკანტის შეფასების ახალი თარიღი, თუ მიიჩნევს, რომ აპლიკანტის შერჩევის ეტაპზე არსებითად დაირღვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული აპლიკანტთა შერჩევის პროცედურა.

8. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 14. კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის ხელშეკრულების გაფორმება

1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტსა/პროფესიული სტუდენტის წარმომადგენლსა და კოლეჯს შორის ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება, სწავლის დაწყების თარიღამდე.
2. ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯს შორის, სსსმ აპლიკანტისათვის პროფესიული სტუდენტის მშობელს და/ან მის კანონიერ წარმომადგენელსა და კოლეჯს შორის/ იდება ერთხელ და ის მოქმედებს სწავლების მთელი დროის განმავლობაში.
3. პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.
4. ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს ხელშეკრულების საგანს - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, ფინანსურ საკითხებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს კოლეჯში სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტი, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და მისი შეწყვეტის წესს, სხვა დებულებებს.

მუხლი 15. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.
2. წინამდებარე წესში ცვლილებები ან/და დამატებების დამტკიცების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ელექტრონული საქმის წარმოების მეშვეობით, ეგზავნება კოლეჯის ადმინისტრაციისა წევრებს და იმ პირებს, რომელთა საქმიანობაზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს აღნიშნულმა წესმა.
3. წინამდებარე წესში ცვლილებები ან/და დამატებების დამტკიცების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ძალაში შედის აქტში მითითებულ ვადაში

მუხლი 16. გარდამავალი დებულებები

1. 2026 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღებისთვის:

   ა) დაწესებულება უფლებამოსილია, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა მიღება განახორციელოს აგრეთვე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომ – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება) შესაბამისად;

ბ) წინამდებარე მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტის მიზნებისათვის, აბიტურიენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად დარეგისტრირდება ერთიან ეროვნულ გამოცდაზე და რეგისტრაციისას აირჩევს უმაღლეს პროფესიულ პროგრამას.

2. 2026 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადების მიზნით:
   ა) დაწესებულება 2026 წლის 5 მარტიდან 2026 წლის 10 მარტის ჩათვლით ელექტრონულად ავსებს ანკეტა-კითხვარს მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;
   ბ) მართვის სისტემა ამუშავებს ანკეტა-კითხვარში ასახულ მონაცემებს ელექტრონულად და არაუგვიანეს 2026 წლის 17 მარტისა ელექტრონული ფორმით აწვდის ცენტრს;
   გ) ცენტრი მიღებულ ინფორმაციას 10 სამუშაო დღის ვადაში ასახავს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებულ სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში.
3. 2026 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა მიღების გამოცხადების მიზნით მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:
   ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე 2026 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;
   ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება 2026 წლის 10 მარტის მდგომარეობით.
4. 2026 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მიზნით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ჩასაბარებელი საგანი/საგნები, შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების მიხედვით, მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ანკეტა-კითხვარში შევსებულ ინფორმაციასთან ერთად აისახება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებულ სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში.
5. თუ აბიტურიენტს უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე მოხვედრის მიზნით, ჩაბარებული აქვს მინისტრის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, პროფესიული კვალიფიკაციების მიხედვით, დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ჩასაბარებელი საგნებიდან ორი ან რამდენიმე საგნის გამოცდა, შესაბამის პროგრამაზე მისი ჩარიცხვის საკითხის გადაწყვეტისთვის რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპი.
6. უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, პროფესიული კვალიფიკაციების მიხედვით, დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ჩასაბარებელი საგნებში აბიტურიენტის მიერ გადასალახი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით შესაბამისი საგნისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ნახევარზე მეტს.

7. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, პროფესიული კვალიფიკაციების მიხედვით, დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ჩასაბარებელად განსაზღვრულია რამდენიმე ჩასაბარებელი საგანი, დაწესებულების მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა ნაწილდება ჩასაბარებელი საგნების რაოდენობის პროპორციულად. პროპორციული განაწილების ზუსტად განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საგანთა ჩამონათვალში მითითებულ პირველ საგანს.
8. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებული საგნობრივი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ არაუგვიანეს 10 დღისა ცენტრი შეიმუშავებს და ამტკიცებს რანჟირების დოკუმენტს თითოეული აბიტურიენტისათვის იმ დაწესებულებისა და უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამის მითითებით, რომელზე სწავლის უფლებაც მან მოიპოვა. რანჟირების დოკუმენტის შედგენა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად.
9. ცენტრი უზრუნველყოფს რანჟირების დოკუმენტის მიწოდებას მართვის სისტემისათვის და დაწესებულებისთვის.
10. მართვის სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულებისთვის რანჟირების დოკუმენტის ხელმისაწვდომობას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამის მიხედვით.
11. ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ აბიტურიენტი პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულებაში წარადგენს, დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში დაწესებულების მიერ ამ წესით დადგენილ დოკუმენტებს. დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დაწესებულება ვალდებულია აბიტურიენტი პროფესიულ პროგრამაზე რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად, აბიტურიენტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
12. უმაღლეს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე მიღების ფარგლებში ჩარიცხული პირებისთვის სწავლა დაიწყება, არაუგვიანეს 2026 წლის პირველი ოქტომბრისა. სწავლის დაწყების ზუსტი თარიღი დამტკიცდება დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
13. 2026 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.